განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტის
„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში, კერძოდ „ლიცენზიებისა და ნებართვების“ კანონში სათანადო ცვლილების შეტანის გზით, შემოდის ახალი სახის ნებართვა - საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა შესაბამისი ცვლილების შეტანა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის დანართში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ტაქსების სფეროს რეგულაციიდან გამომდინარე საქართველოს კანონში შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ცვლილება შედის საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის დანართში და ცხრილის 33 გრაფის შემდეგ ემატება ახალი, 33^1 გრაფა, რომლის თანახმადაც საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემიდან მიღებული თანხები მიიმართება თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის გავლენა ქ.თბილისის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე უკავშირდება „ლიცენზიებისა და ნებართვების“ კანონში შეტანილ ცვლილებას საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის შემოღებასთან დაკავშირებით.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს უარყოფით გავლენას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტის მიღებით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორები:

საქართველოს პარლამენტის წევრები კახაბერ კუჭავა და ნინო წილოსანი

ვ) კანონპროექტის ინიციატორები:

საქართველოს პარლამენტის წევრები კახაბერ კუჭავა და ნინო წილოსანი